

ნათესავიდან ერთმდე

დავუკვირდეთ *ნათესავ* ტერმინს, რომელიც არქაულ, ადამიანთა ერთობის თავდაპირველ ცნობიერებას ინახავს. კლასიკური ქართული ტექსტების *ნათესავი* გულისხმობს ერთი თესლიდან გამრავლებული ადამიანების ერთობას. ნა-თეს-ავ-ი მომდინარეობს ზმნიდან *თეს-ავ-ს*. გავიხსენოთ სიტყვის სემანტიკის საფუძველზე შექმნილი მითოსი სპარტის წარმოშობაზე: სპარტა-*სპარტოს* (სპარტოს “დათესილი”). ასევე ქართლოსი თესავს თესლს და მომავლის სამკალი მისი შთამომავლობაა. ქართულ ენას, რომელსაც ჰქონდა ორმხრივი გამოცდილება ცალკე ბერძნულ (ძველი და ახალი აღთქმების) და ირანულ ენობრივ სამყაროსთან ურთიერთობისა, ძველ ტექსტებში შერჩა ორი ერთი და იმავე სემანტიკის ტერმინი ეთნიური ერთობის გამოსახატავად: პირველია *თესლი* (ბერძნ. სპერმა) სეპტუაგინტას თარგმანმა დაამკვიდრა ქართულში: “თესლსა შენსა მივსცე ქუეყანა ესე” (დაბ. 12:7); ახალ აღთქმაში *ნათესავი* და *თესლი*, როგორც მოდემის, შთამომავლობის აღმნიშვნელი ტერმინები, ერთმანეთს ენაცვლება ბერძნული სპერმა-ს გადმოსაცემად, მაგალითად, “ჩვენ ნათესავნი (სპერმა) აბრაჰამისნი ვართ” (ი. 8:33); “თესლისაგან (სპერმა) დავითისა” (ი. 7:42); და მეორეა *ტომი*, რომელიც ირანულმა (*ტომი*) სინამდვილემ დაგვიტოვა: “ესუა მას დედა ტომისაგან ელია მდღელისა”, “და აგინებდა ვარსქენ თესლ-ტომსა მისსა” (ტავტოლოგიური კომპოზიტი). მოდემის თვითიდენტიფიკაცია, საერთო წარმომავლობის თვითშეგნება დაფუძნებულია ერთი თესლიდან წარმომავლობაზე, რომელიც მთელი ისტორიის მანძილზე უცვლელად და შეურევნელად წარმოშობს ნაყოფს “თავისი გვარისდა მიხედვით” (დაბ. 1:11). ხალხი, როგორც ერთი ნათესავი, არის და-ნა-თეს(ლ)ი, რომელიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში იძლევა ერთსა და იმავე მოსაგაღს, სანამ თავდაპირველ თესლს არ შეერევა *უცხოთესლი*, რასაც ეთნიური თვითშეგნება მუდამ მტკივნეულად განიცდის, თითქოს ეს ბუნების საწინააღმდეგო “აღრევა” იყოს. *ნათესავი* ჩაკეტილია თავის თავში, ის არ იღებს არც *უცხოს*, არც *სხვას*, არ იხსნება მათ მიმართ. მისთვის *უცხოა სხვაი ჩემის* (იხ. *ზ.კიკნაძე, “რამეთუ იყო იგი სხვაი ჩემი”,* გაზ. “საქართველო”, 4-6 თებერვალი, 1998) კატეგორია.

ეპონიმის იდეა ბიოლოგიური ერთობის კონცეფციას ემყარება. ამ თეორიით, ქართველთა ეთნოსი (ნათესავი) ერთი ბირთვის ისტორიულ პროცესში განშლისა და გამრავალრიცხოვნების შედეგია. ეს არის ერთგვარი ანალოგი ხალხური ეტიმოლოგიისა ეთნოგენეზისის სფეროში. როგორც ხალხური ეტიმოლოგია, როგორც წესი, არის

მცდარი, ასევე მცდარია ხალხთა წარმოდგენის ეს “თეორია”. მაგრამ ის, როგორც იტყვიან, მუშაობს საუკუნეთა მანძილზე და განამტკიცებს ეროვნულ თვითშეგნებას, ხელს უწყობს კონსოლიდაციას. რა თქმა უნდა, ქართლოსი (ბერძნულ ყაიდაზე ნაწარმოები საკუთარი სახელი) წარმოსახვითი, ჰიპოთეტური პირია, მაგრამ მისმა ვირტუალურმა არსებობამ ქართველთა ეთნიური თვითშეგნების ჩამოყალიბებაში თავისი როლი შეასრულა.

მაგრამ ერთი თესლიდან წარმოშობილი სიმრავლე (თუკი ის ოდესმე არსებულა თავისი წმიდა, შეურევნელი სახით) ჯერ ბუნების კუთვნილებაა, ის “ნედლეულია”, რომლისგანაც მასზე აღმატებული რეალობა უნდა შექმნას. კლასიკური პარადიგმაა ისრაელიანთა მაგალითი: ეგვიპტეში აბრაამის თესლიდან შექმნილი სიმრავლე სინაის მთასთან რჩეული ერთად გარდაიქმნა, რომელმაც სრულიად ახალ საწყისზე დაიწყო თავისი ცხოვრება. ნათესავისგან შეიქმნა ერთი, რომელიც უკვე ისტორიის პროდუქტი კი არ არის, როგორც ერთგან განზოგადებულად წერს ლევ კარსავინი (1882-1952), არამედ თავად ქმნის ისტორიას. გარკვეულწილად, ყველა ხალხის ისტორიაში დგება ეტაპი, როცა ბიოლოგიური ერთობა აღარ არის საკმარისი. ისტორია მეტს მოითხოვს მისგან, როგორც ბუნებით მოცემულისგან.

დავუბრუნდეთ ისევ ტერმინოლოგიას, რომელიც ისტორიული განვითარების პროცესში ცდილობს ამ შეცვლილი ვითარების გამოხატვას. კერძოდ, რომ ვილაპარაკოთ *ნათესავ* სიტყვა-ცნებაზე, იგი არასაკმარისი აღმოჩნდება სახელმწიფოს მშენებელ ან მასში მცხოვრებ ადამიანთა ერთობის გამოსახატავად. ან დგება ისტორიული ამოცანის აღსრულების დრო, როცა საერთო ბიოლოგიური წარმოშობა არ მიიჩნევა გადამწყვეტ ფაქტორად ახალი ერთიანობის მისაღწევად. *ნათესავის* გვერდით თავის კანონიერ ადგილს იჭერს სიტყვა-ცნება *ერთი*, თანდათან ძალას იკრებს იმ ახალი რეალობის გადმოსაცემად, რომელიც ქვეყანაში მკვიდრდება ხანგრძლივი ევოლუციის ან გარდატეხის შედეგად.

რითი განსხვავდება *ერთი* სიტყვა-ცნების სოციალურ-ისტორიული სემანტიკა *ნათესავ* სიტყვა-ცნებისგან? თუ *ნათესავი*, რომელიც თავის თავში *თესლის* სემანტიკას შეიცავს, რაც ბიოლოგიური საწყისის გამომხატველია და წარსულისკენ გვახედებს ანუ მას წარმოშობის მიზეზი აქვს მხედველობაში, *ერთი* ტერმინმა ისეთი ერთობის გამოხატვა უნდა იტვირთოს, რომელიც არა წარსულში არსებული მიზეზისკენ იქნება მიმართული, არამედ მომავალში აღსასრულებელი მიზნისკენ. მიზეზი ბიოლოგიური ფაქტორია, ბუნებაა, ის წარსულში ძევს; მიზანი კი – ადამიანთა ძალისხმევით აღსასრულებელია, ის მომავალშია.

ამდენად, სულიერ-კულტურულ შემოქმედებას მოითხოვს. მიზეზი აიძულებს, იწვევს ქმედებას, მიზანი კი თავისუფალი ნებით წარმართავს. მიზეზი წარსულიდან განსაზღვრავს ადამიანს, მიზანი კი – მომავლიდან. ადამიანი არა მიზეზობრივი, არამედ მიზნობრივი არსებაა. ენას ძალუძს ამ ფაქტის რამენაირად მინიშნება, თუ მკაფიოდ გამოხატვა არა. ცვლილება ენაში ისტორიული გარდატეხის პერიოდებში ხდება.

ქართულ ისტორიოგრაფიაში *ერი*, განსაკუთრებით, შესიტყვებაში *ყოველი ერი*, განსხვავებით ნათესავისგან, რომელიც ეთნიურ კუთვნილებას გულისხმობს, სოციალურ-პოლიტიკური ერთობაა; მის პარალელურად *ყოველი ქართლი* იმ სახელმწიფოს სახელწოდებაა, სადაც არა მხოლოდ ქართველები, არამედ სხვა ნათესავებიც ცხოვრობენ. იგივეა *ფრიადი ქვეყანაც*, სადაც *ფრიადს* არაეთნიური დატვირთვა აქვს (სხვაგვარად, აზრი არ ექნებოდა იმის საგანგებოდ აღნიშვნას, რომ *ნათესავით* ქართველები ჟამისწირვას ქართულად ისმენენ).

მირიანის ხანაში მოხდა ძლიერი გარდატეხა. თუ ფარნავაზის, ასევე ფუძემდებლურ, “ძლიერ დროს”, ორიენტაცია წარსულისკენ იყო (მან “შეამკო საფლავი ქართლოსისი”) მიმართული, პირველმა ქრისტიანმა მეფემ ორიენტაცია მომავლისკენ აიღო, ის წარსულით აღარ არის განსაზღვრულ-განპირობებული (თუმცა მირიანზეც ვკითხულობთ, რომ მანაც შეამკო საფლავი – “საფლავი ფარნავაზისი”, მაგრამ ეს თხოთის გარდამტეხ სასწაულამდე იყო).

“ქართლის მოქცევაში” არის ერთი შესანიშნავი ფრაზა, რომელიც გამოხატავს ამ უმნიშვნელოვანესი შემობრუნების მომენტს *ნათესავის* ცხოვრებაში. იგი ამგვარად ჟღერს: “ნეტარ მას ჟამსა, რად იგი იქმნებოდა” (*შატბერდის კრებული*, 1979, გვ. 345). ეს ჟამი, ეს აწმყო, რომელიც არასოდეს გადადის წარსულში, ავსებს *ნათესავს* ახალი, სულიერი შინაარსით. ეს არ არის ერთი ადამიანის ან ერთი *ნათესავის* სიტყვები; ისინი მთელი ხალხის, “ერის სიმრავლის”, გულის ამოძახილია, რომელიც ერთობის ახალ ზღურბლზე გადადის, საიდანაც ახალი გზა იწყება. ამგვარი სიტყვები შეიძლება თქმულიყო მოსეს ხანაში მეწამული ზღვის გადალახვის შემდეგ, როცა ეგვიპტიდან (რესპ. ბუნებიდან) გამოსულმა ხალხმა (მათ შორის არაისრაელიანებიც იყვნენ) გაიარა განსაცდელი, რათა ერთ ხალხად – *ერად* შეკრულიყო. მცხეთაში ვადასტურებთ ხალხის, ერის სიმრავლის, დიდ ენთუზიაზმს, რამაც სხვადასხვა ეთნიური კუთვნილების ადამიანები ერთ *ნათესავად* შეკრა, ოღონდ მასში ნაგულისხმევი *თესლი* და სისხლი სიმბოლურ ღირებულებას იძენს..

იქმნება ახალი ერთობა ქრისტეში, ახალი ერი, *კაინონ გენოს*, როგორც ადრეულ ხანაში იწოდებოდნენ ქრისტიანები, განურჩევლად ეთნიური კუთვნილებისა.

ნათესავს, როგორც ტერმინს, ამ ახალ სიტუაციაში უარი უნდა ეთქვას თავის სემანტიკაზე ახალი რეალობის კარნახით ან უფრო ვიწრო, ნამდვილად ნათესაურად, სისხლით და ხორციით დაკავშირებულ ადამიანთა ჯგუფით უნდა შემოსაზღვრულიყო. ხანგრძლივი იყო გზა ძველი ტექსტების *ნათესავიდან* დღევანდელ *ნათესავამდე*. მაგრამ ისიც უნდა ითქვას ამასთან კავშირში, რომ “მოქცევის” ტექსტი არსად ფუძემდებლური და გადამწყვეტი აქტების მონაწილედ არ ასახელებს *ნათესავს*, ის არ იცნობს “*ნათესავ ქართველს*”, ის ხედავს ახალი რწმენით აღრთოვანებულ ხალხს, რომელსაც “ერის სიმრავლეს” უწოდებს, რაც უკვე აღარ გულისხმობს ერთი თესლისა და სისხლისაგან მომდინარე ერთობას. პარადოქსია, მაგრამ თუკი სიტყვა “ქართველი” იხსენიება ამ ტექსტში, მხოლოდ იმ ებრაელთა ზედწოდებად (“ჰურიანი ქართველნი”), რომლებიც ეთნიურ ქართველობასთან ინტეგრაციის გზაზე არიან დამდგარნი. ამ პროცესში გადამწყვეტი როლი მათ გაქრისტიანებამ ითამაშა. ერთი ქვეყნის ფარგლებში, ერთ სახელმწიფოში სხვადასხვა ეთნოსის წარმომადგენელი ერთ სხეულად იკვირან, მაგრამ მათი ერთობის არგუმენტი არა საერთო თესლი და სისხლია, არამედ საერთო სარწმუნოება – სულიერი ფაქტორი, რასაც კულტურული ერთობა მოსდვს. ყველანი, ქართლის მკვიდრნი (მათ შორის ებრაელებიც არიან) და ხიზანნი (ბუნთურქნი თუ სხვანი) ერთიანდებიან უნივერსალურად ქრისტეში ერთ “ზეპურ ერად”, რომელიც ქრისტეს სისხლით არის გამოსყიდული. ამიერიდან ქართლის მოსახლეობა, განურჩევლად ეთნიური წარმოშობისა, “ახალი ერის” (*კაინონ გენოს*) შენების პროცესში იმყოფება. ამ დროს გაჩნდა მიზანი, რომელიც მომავლისკენ არის მიმართული. თუ ძველი, ერთი თესლიდან აღმოცენებული ხალხი ბიოლოგიური მიზეზის შედეგი იყო, ბიოლოგიური მიზეზით იყო განპირობებული, ახალი ხალხი (*კაინონ გენოს*) თავად წარმოადგენს მიზანს, რაც ისტორიულ პროცესში ხორციელდება, მიზანს – რამდენადაც მისი განსრულება მომავლის პერსპექტივაშია.

ამიერიდან სიახლე ის არის, რომ რელიგია განსაზღვრავს ადამიანის მდგომარეობას ქვეყანაში, რაც ადრე არ შეინიშნებოდა. თუ ადრე ქვეყანაში *მკვიდრობა* (სრულუფლებიანი მოქალაქეობა) არ იყო დამოკიდებული კონფესიაზე, ამიერიდან ქვეყნის *მკვიდრი* მხოლოდ ქრისტიანი შეიძლება ყოფილიყო. ეს კარგად ჩანს მცხეთელ ებრაელთა, როგორც იწოდებოდნენ, “მცხეთელ მკვიდრთა”,

მაგალითზე (იხ. *ლ.პატარიძე, “ერი” – სიტყვა და ცნება უწინ და დღეს, ამავე კრებულში*). მცხეთელი ებრაელების მცხეთა-ქალაქში მკვიდრობას არ აბრკოლებდა ის გარემოება, რომ ისინი ადგილობრივი არმაზის სახელმწიფო კულტისგან განსხვავებულ რელიგიას აღიარებდნენ. ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების შემდეგ ვითარება შეიცვალა: ქრისტიანობის გარეშე დარჩენილმა იუდაეელობამ დაკარგა პრივილეგიები, რასაც მას *მკვიდრობა* აძლევდა. *მკვიდრები* მხოლოდ ქრისტიანები არიან, რომლებიც ერთ ეკლესიად შეიკრიბნენ, შვილნი იმ ვითარებისა, რომელზეც ითქვა ის არქეტიპული სიტყვები: “ნეტარ მას ჟამსა, რად იგი იქმნებოდა!”

მკვიდრობა ქრისტეს აღმსარებლობას დაუკავშირდა. გავისხენოთ ვახტანგ გორგასლის სიკვდილისწინა სიტყვები. “და რქუა ყოველთა წარჩინებულთა: თქვენ, მკუდრო ქართლისანო, მოიკსენენით კეთილნი ჩემნი, რამეთუ პირველად სახლისა ჩემისა მიერ მიიღეთ ნათელი საუკუნო და მე ჳორციელებრითა დიდებითა გადიდენ თქვენ ნათესავთა ჩემთა...” (*ქართლის ცხოვრება I, 1955, გვ. 203*). აქ აშკარად არის ნათქვამი, რომ გორგასალთან ერთად ერთ *ნათესავად* და *მკვიდრებად* ეს წარჩინებულნი, რომელნიც, უნდა ვიფიქროთ, არ ეკუთვნოდნენ ქართველთა *ნათესავს*, ნათლისღებამ გახადა. მოგვიანებით, როცა მეისტორიემ თუ იდეოლოგმა იგრძნო დროის ვითარება, ქვეყანა რელიგიური ნიშნით განსაზღვრა. გიორგი მერჩულე თავისი ცნობილი გამონათქვამით – “ქართლად ფრიადი ქვეყანად აღირაცხების, რომელსაცა შინა ქართულითა ენითა ჟამი შეიწირვის...” – ქვეყნის ისტორიაში თვისობრივად ახალი ხანის განმარტებას იძლევა. ამიერიდან *ქართლი* ქრისტიანული ქვეყნის, ხოლო *ქართველი* ქრისტიანის (ანტიქალკედონიანის მიმართ ქალკედონიანის) სინონიმი ხდება. *ქართველია* ყველა, განურჩევლად ეთნიური, ნათესაობითი წარმომავლობისა, ვინც მკვიდრობს ქართლში, როგორც ქრისტიანი.

სახელმწიფო და ეკლესია, თავისი ბუნებით როგორც ზეეთნიურ-ზენათესაური ინსტიტუტები, ერთ უნივერსალისტურ პოზიციაზე დგანან. ისინი ქვეყანაში გარკვეული ისტორიული ამოცანის განსახორციელებლად თავის სამსახურში იკრებენ ყველას, განურჩევლად “ნათესაური” წარმოშობისა, რისი მაგალითები საქართველოს ისტორიაში ბევრია. საბოლოოდ, ხდება მათი, როგორც მთელი ჯგუფის (როგორც ებრაელთა შემთხვევაში), ისე ცალკეულ პიროვნებათა (ივანე მხარგრძელი, სადუნ მანკაბერდელი და სხვანი) ინტეგრირება სახელმწიფოს ძირითადი ნათესავის (რომლის სახელმოდგამიც არის მთრელი ქვეყანა) სულთან და სხეულთან. შედეგად ვიღებთ ისეთ ცნება-ტერმინებს (როგორიც არის “ქართველი”

და “სომეხი”), რომლებიც ნათესაობის გვერდით გამოხატავენ ეთნიურ-კონფესიურ კუთვნილებას. ინტეგრაციის პროცესში რელიგიური ფაქტორის გადამწყვეტ როლზე მიუთითებს ის ფაქტი, რომ მისი უკან დახვეის, აქტუალობის დაკარგვის ხანაში, ეთნიური ფესვები თითქოს შიშვლდება და იწყება მათი ძიება, რაც ხშირად, როგორც წესი, თავდაპირველი გვარის დაბრუნებით მთავრდება (ეს პროცესი საბჭოთა წყობილების დროს დაიწყო და დღემდე გრძელდება). ეს ის შემთხვევაა, როცა ისტორიული პროცესი შექცევადია – უბრუნდება თავის ამოსავალს. შეიძლება საუბარი იმაზე, თუ რომელი უფრო ძლიერი და გამძლეა – ეთნიური საწყისი (ნათესაური სუბსტანცია), თუ აღმსარებლობა, რომელიც ასევე არცთუ ზედაპირულად მყოფობს ადამიანში. ქართულ თქმაში “ჩვეულება რჯულზე უმტკიცესიაო”, რას გულისხმობს “ჩვეულება” და რას – “რჯული”? ყოველ შემთხვევაში, ეს ანდაზა იმ დროის ნიშანია, როცა უკვე გაემიჯნა ერთმანეთს ჩვეულება (ეთნოსი, ნათესავი) და რჯული (კონფესია), როცა რწმენის ფაქტორი გადამწყვეტი აღარ არის. უკვე დგებოდა დრო და დადგა კიდევ, როცა ვეღარ ითქმოდა ის ცნობილი ფრაზა, რომელიც XVIII საუკუნის პირველ ნახევარში ითქვა: “უკეთუ ჰკითხო ვისმე ქართველსა ანუ იმერსა, მესხსა და ჰერკახსა, რა რჯული ხარ, წამს მოგიგებს: ქართველი” (ქართლის ცხოვრება IV, 1973, გვ. 291). რჯულის და ქართველის (ანუ ნათესავის) აქ ერთ კატეგორიაში მოქცევა კულმინაციაა იმ პროცესისა, რომელიც VIII საუკუნეში ჯერ კიდევ არ იყო დაწყებული. ამ ფრაზაში – “არავინ გიცოდა ვითარმედ ვინ ხარ, ანუ რომლისა ნათესავისაგან, ანუ რომლისა ერისაგან, ანუ რომლითა შჯულითა სცხონდებოდე” (*ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები*, 1964, გვ. 79) – ადამიანის ვინაობა სამგანზომილებიანია: ეთნიური კუთვნილება (ნათესაობა), სოციალური სტატუსი (იხ. ლ.პატარიძის სტატია *ამავე კრებულში*, გვ.) და რჯული (სარწმუნოება). როგორც ვხედავთ, ამ დროს (აბო ტფილელის ხანაში) ჯერ კიდევ გამიჯნული იყო.

რა ცვლის ტრადიციულ *ნათესავ ქართველს* XVIII საუკუნეში, ქართული სახელმწიფოს ისტორიის უკანასკნელ პერიოდში, რომლის შემდეგ სრულიად განსხვავებული სინამდვილე დგება? აქ საუკუნის დასასრული ნამდვილად ემთხვევა ისტორიის ერთი დიდი პერიოდის დასასრულს. წელთაღრიცხვის მიჯნა და ისტორიული მიჯნა ერთმანეთს თანხვდება. მაგრამ ამ ხანაში განსაკუთრებული ის არის, რომ ეროვნული თვითშეგნების, ასევე, საზოგადოდ, სულიერი კულტურის, შენება თავიდან იწყება, მაგრამ არა ძველ ფუნდამენტზე, რომელიც ძველ შენობასთან ერთად დანგრეულია, არამედ სრულიად ახალ საფუძვლებზე, ახალ ღირებულებებზე.

გადადის *ნათესავი* და შემოდის *ერი*; *ერი*, რომელიც კლასიკურ ხანაში ხალხის, მოსახლეობის თუ ქუდზე კაცის (მეომართა სიმრავლის) აღმნიშვნელი იყო და არავითარ შემთხვევაში ეროვნებისა, როგორც დღეს. ასე იყო, ვიდრე ამ მნიშვნელობებით მას დიფერენცირებულად “ხალხი” და “ლაშქარი” (“სპა”, “ჯარი”) არ შეენაცვლა. ამრიგად, როცა შემოდის სიტყვა-ცნებები *ჯარი* და *ლაშქარი*, სიტყვა-ცნება *ერი* თავისუფლდება თავისი ძველი სემანტიკისგან; ხოლო როცა შემოდის *ხალხი* ადამიანთა სიმრავლის აღსანიშნად, *ერი* ამ სემანტიკისგანაც თავისუფლდება და მას უკვე, ალბათ, XVIII ს-ის ბოლოდან (ყოველ შემთხვევაში ის ამ მნიშვნელობით მოხვდა ნიკო ჩუბინაშვილის ლექსიკონის ადრეულ რედაქციაში, 1812-1825) შეეძლო ეტვირთა ეთნიური კუთვნილების მნიშვნელობა. გრიგოლ ორბელიანისთვის ეს ჩვეულებრივია: “შენი ივერი აღსდგეს ძლიერი და დადგეს ერად სხვა ერთა შორის”; და, ბუნებრივია ბარათაშვილისთვისაც, როცა ის ერსა და რჯულს (აღმსარებლობას) ერთმანეთს უპირისპირებს:

“სახელმწიფოსა ერთობა სჯულის
არა რას არგებს, ოდეს მისს შორის
თვისება ერთა სხვადასხვაობდეს”.

ბარათაშვილის ამ სტრიქონებში კიდევ სხვა რამ არის საგულისხმო და ნიშანდობლივი. მსაჯულის პირით გამოთქმული აზრი იმის სრული საპირისპიროა, რასაც პავლე მოციქული წერს ეპისტოლეში: “...არ არის არც ბერძენი, არც იუდეველი,....არამედ ქრისტეა ყოველივე და ყოველივეში“ (კოლ. 3:11). მოციქულის სიტყვები პროგრამულია, ჯერარსულია: ის ამბობს იმას, როგორც უნდა იყოს; მაგრამ XIX საუკუნის დამდეგის ავტორი აღნიშნავს იმ ფაქტს, რომ ეს ეპოქალურად *უკვე* ან ამ კონკრეტულ შემთხვევაში (ქართველ-რუსების ურთიერთობაში) ასე არ არის. რჯული, რელიგია, აღარ უფლობს ერის თვისებაზე. კლასიკურ ხანაში სხვაგვარად ფიქრობდნენ ერის იდეოლოგიები. ცნობილია ვახტანგ გორგასლის სიტყვები, რომლებიც მან ქვეყანას ანდერძად დაუტოვა – ეს სამი სიტყვა, როგორც მოწოდება, როგორც სამომავლო პროგრამა: “სიყუარულსა ბერძენთასა ნუ დაუტეობთ” (ქართლის მოქცევა I, 203). რატომ “ნუ დაუტეობთ”? იმიტომ, რომ ბერძენები *ქართველთა ნათესავის* ერთრჯულნი არიან – სხვადასხვა *ნათესავი* – ქართველი და ბერძენი – ქრისტეში ჰპოვებენ ნათესაობას, მაგრამ ეს ნათესაობა არა ხორციელი, არამედ სულიერია.

XIX ს-ის საქართველოში იწყება ქვეყნის ხალხის იმგვარი ერთობის ჩამოყალიბება, რომლის განსაზღვრულობაში გადამწყვეტი არ უნდა

ყოფილიყო სისხლისმიერი ნათესაობა. წინასწარ მომზადდა ჭურჭელი, რომელსაც სამომავლოდ, სხვა საუკუნეში ეთნიური კუთვნილების განურჩევლად სახელმწიფო ხალხის, ერის, მნიშვნელობა უნდა ეტვირთა. *ერი*, როგორც ტერმინი, *ნათესაობისა* განსხვავებით, ეტიმოლოგიურად არ შეიცავს ბიოლოგიურ ელემენტის აღმნიშვნელ სემანტიკას. ის ქვეყნის მოსახლეობის განსხვავებული ერთობის, მთელი მოსახლეობის კრებითობის გამოსახატავად არის მოწოდებული. ამრიგად, ის ბიოლოგიზმისგან დაცლილი ჭურჭელია. სამომავლოდ, პერსპექტივაში ის უცდის თავის დროს, რომ მან და მისგან ნაწარმოებმა სიტყვებმა (“ეროვნულმა” და სხვამ), რომელთა ბადალი ძველ ტექსტებში არ არსებობდა, სახელმწიფოში სხვადასხვა წარმოშობის, მაგრამ ერთ ხალხად შემტკიცებული სიმრავლის შინაარსი მოიცვას.